



N 23, 2021

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
SOCAR-მა ყულევიდან მეთანოლის ექსპორტი განაახლა	2
ევროპაში ბუნებრივი აირის ფასი რეკორდულად გაიზარდა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	2
1 ივლისიდან დენის ქვითარს “თელმიკოსგან” და “ეპი ჯორჯიასგან” მიიღებთ - რატომ? .2	
ინოვაციური ჰიდროენერგეტიკა: ბიო-ტურბინა წყალქვეშა ფრთებზე.....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
დავით თვალაბეიშვილი: ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედების გადავადება ხარვეზებმა განაპირობა.....	4
„ენერგოუსაფრთხოება საქართველოს არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაა“ - დირე ბუშლე.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
თბილისი ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - მოსალოდნელია ნაგვის გადასახადის ზრდა	6
MAN Engines-მა წარმოადგინა მოდულური, ჰიბრიდული ძრავა ნულოვანი ემისიების მქონე გემებისთვის.....	6
პუბლიკაციები.....	7
ღონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

SOCAR-მა ყულევიდან მეთანოლის ექსპორტი განაახლა

ოთხთვიანი შესვენების შემდეგ, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR), მაისის ბოლოს ყულევის პორტიდან მეთანოლის ახალი პარტია გაგზავნა.

მიწოდების პაუზა გამოწვეული იყო Socar Methano-ის ქარხანაში (ბაქო) განხორციელებული სარემონტო სამუშაოებით, რომელიც 2020 წლის ბოლოდან მაისის დასაწყისამდე მიმდინარეობდა.

29 მაისს ხომალდი Caminero 3,5 ათასი ტონა მეთანოლის სპირტით დაიტვირთა, რომლის დანიშნულების ადგილიც “იალოვას” პორტია (თურქეთი).

იანვარში SOCAR-მა ყულევიდან ორი ტანკერი მეთანოლი გაგზავნა, რომელთა საერთო მოცულობამ 11 ათასი ტონა შეადგინა და რომელიც წარმოებული იყო გასული წლის ბოლოს მიწოდებული პროდუქტისგან.

2020 წელს ყულევის პორტიდან მეთანოლის გადაზიდვა 367,3 ათასი ტონიდან (ერთი წლით ადრე) – 460 ათას ტონამდე გაიზარდა. პროდუქტი გაიგზავნა თურქეთში, ევროპის ქვეყნებში, ასევე აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებში.

<https://cutt.ly/7nDndZv>

ევროპაში ბუნებრივი აირის ფასი რეკორდულად გაიზარდა

ევროპაში ბუნებრივი აირის ფასი საგრძნობლად იზრდება და ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულ ნიშნულს აღწევს. ამის მიზეზი სავარაუდოდ ნორვეგიის მარაგების შემცირებაა.

ნიდერლანდების TTF-ის ჰაბში გაზის ფასი 6%-ით გაიზარდა და ათას კუბურ მეტრზე 357 აშშ დოლარს შეადგენს.

აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის მარტის დასაწყისის შემდგომ ყველაზე მაღალია. მაშინ ევროპაში ბუნებრივი აირის ფასი ათას კუბურ მეტრზე 969 დოლარამდე მერყეობდა.

<https://cutt.ly/lnDngaD>

ელექტროენერგეტიკა

1 ივლისიდან დენის ქვითარს “თელმიკოსგან” და “ეპი ჯორჯიასგან”

მიიღებთ - რატომ?

2021 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს მოსახლეობა ელექტროენერგეტიკას ახალი კომპანიებისგან მიიღებს. თბილისის მცხოვრებლებისთვის ეს იქნება კომპანია “თელმიკო”, დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებისთვის კი - “ეპი ჯორჯია”.

ეს ცვლილება ქვეყნის ენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმებით არის განპირობებული. კანონით ერთმანეთისგან გაიმიჯნა ელექტროენერგეტიკის განაწილებისა და მიწოდების საქმიანობები. შესაბამისად, თუკი აქამდე დენის მიწოდებასაც და განაწილებასაც ერთი და

იგივე იურიდიული პირი უზრუნველყოფდა, ახლა ეს საქმიანობა გამიჯნულია. ამის გამო, "თელასმა" და "ენერგო პრო ჯორჯიამ" დააფუძნეს ახალი კომპანიები, რომლებიც უშუალოდ დენის მიწოდების საქმიანობას განახორციელებენ.

ცვლილება ელექტროენერჯის მიწოდების ბაზარზე დივერსიფიკაციისკენ არის მიმართული, თუმცა თავდაპირველ ეტაპზე მომხმარებელი დენს მხოლოდ ამ კომპანიებისგან მიიღებს, შემდგომში კი ბაზარზე შესაძლოა ახალი მიმწოდებლებიც გამოჩნდნენ.

"თელასისა" და "ენერგო პრო ჯორჯიას" სალიცენზიო არეალებში დასახელდა უნივერსალური მომსახურების და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, რომელიც 2021 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე იფუნქციონირებს. "თელმიკო" იქნება თბილისში მიმწოდებელი და "ეპი ჯორჯია" იქნება თბილისის გარეთ", - პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ დავით თვალაბიშვილმა.

სემეკის ინფორმაციით, მარეგულირებელმა 1 ივლისამდე უნდა განსაზღვროს ამ კომპანიებისთვის დენის მიწოდების ტარიფი, თუმცა ახალი ტარიფი მოქმედი ტარიფის იდენტური იქნება და ის მომხმარებლისთვის არაფერს შეცვლის.

<https://cutt.ly/inDnjsW>

ინოვაციური ჰიდროენერგეტიკა: ბიო-ტურბინა წყალქვეშა ფრთებზე

ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს წიაღისეული საწვავის ალტერნატივას, მაგრამ გენერაციის ყველა მეთოდი ერთნაირად სუფთა ან ეკონომიკურად ეფექტური არ არის.

"კლასიკური გადაწყვეტა" მოიცავს ბეტონის კაშხლის მშენებლობას და ჰეს-ის განთავსებას, მაგრამ ამასთან დაკავშირებულია ყველანაირი პრობლემა, "ამბობს კეიტ მურედი, ლეჰის ინჟინერიისა და გამოყენებითი მეცნიერების კოლეჯის მანქანათმშენებლობისა და მექანიკის კათედრის დოცენტი. "კაშხლის აშენება ძვირია, ამასთან მას ასევე უდიდესი გავლენა აქვს გარემოზე. თქვენ ზღუდავთ თევზის მიგრაციას, შეცვლით ადგილობრივი მდინარის ტოპოლოგიას და გავლენას ახდენთ მის გარშემო არსებულ მთელ ეკოლოგიურ სისტემაზე."


მკვლევარები გვთავაზობენ განსხვავებულ მიდგომას განახლებადი ენერჯისადმი - მდინარეების ბუნებრივი ნაკადების ენერჯის გამოყენება და ელექტროენერჯიად გარდაქმნა ბიო-ინსპირირებული წყალქვეშა ფრთებიანი ტურბინების საშუალებით.

გუნდის ინოვაციურმა, მდინარეზე ორიენტირებულმა მიდგომამ შეიძლება გაზარდოს ენერჯის უფრო სუფთა, უფრო ეკონომიური წყაროების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისთვის, თქვა მურედმა.

წყალქვეშა ფრთები მოძრაობენ წყლის ნაკადის ზემოთ და ქვემოთ. მოძრაობა ახდენს თევზის კუდის ფარფლის ან მყვინთავის ლასტების მოძრაობის იმიტაციას. გუნდი შეიმუშავებს სისტემას, რომელიც მექანიკურად აქცევს ამ ვიბრაციას მბრუნავ მოძრაობად, რომელიც ამუშავებს გენერატორს, მდინარის ნაკადს გარდაქმნის ელექტროენერჯიად.

"მდინარის მუდმივი დინება უზარმაზარ რესურსებს იძლევა", - ამბობს მურედი. "მდინარეები თითქმის ყველა ქალაქშია. ჩვენ გვჭირდება სისტემა გაცილებით დაბალი

ეკოლოგიური ნაკვალევითა და გაცილებით დაბალი ხარჯებით, ვიდრე ძველი ტექნოლოგიები.”



პროექტს მხარს უჭერს ენერგეტიკის დეპარტამენტი და არის იმ 11 პროექტიდან ერთ-ერთი, რომლებმაც 35 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს პერსპექტიული კვლევითი პროექტების სააგენტოს (ARPA-E) წყალქვეშა ჰიდროკინეტიკური და მდინარის კილომეგავატური სისტემების (SHARKS) პროგრამის ფარგლებში. გუნდი, რომელმაც მიიღო 3,5 მილიონი დოლარის გრანტი, შეირჩა ARPA-E Energy Innovation Summit-ის ტექნოლოგიურ წარდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

”ჰიდროკინეტიკური ენერგია არის უხვი განახლებადი რესურსი, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ქსელის მდგრადობა და შეამციროს ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა, მაგრამ ამჟამად ის ძალიან ძვირი ვარიანტია ელექტროენერჯის წარმოების სხვა წყაროებთან შედარებით”, - თქვა ARPA-E-ს დირექტორმა ლეინ გენატოვსკიმ. ”SHARKS ჯგუფები გადალახავენ ამ ბარიერს ახალი ტექნოლოგიური სისტემების შექმნით, რომლებიც იყენებენ მოქცევის, მდინარისა და ოკეანეების რესურსებს ენერჯის გამომუშავების ეკონომიკურად მიმზიდველი შესაძლებლობების შესაქმნელად.”

<https://techxplore.com/news/2021-05-power-river.html>

განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა

დავით თვალაბიშვილი: ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედების გადავადება ხარვეზებმა განაპირობა

„საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ სრულფასოვნად ამოქმედების 6 თვით გადადება ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესმა, ტესტირებების გაგრძელების საჭიროებამ, და სხვადასხვა მოდულების სინქრონიზაციაში არსებულმა ხარვეზებმა განაპირობა“, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, დავით თვალაბიშვილმა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში გამართული მოსმენისას განაცხადა.

თვალაბიშივილმა აღნიშნა, რომ ბირჟის სრულფასოვანი ამოქმედების გადადება ენგურჰესის რემონტის გამო აპრილის ტესტებში მისი ვერჩართულობამ განაპირობა.

„ენგურის რეაბილიტაციის გამო ის ვერ მონაწილეობდა ტესტირებაში. შესაბამისად, ტესტირების სრული, სანდო შედეგები, რომელსაც დავეყრდნობოდით, ვერ გვექნებოდა“, – აღნიშნა თვალაბიშივილმა.

მისი თქმით, ტესტირების შედეგად ასევე გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები სხვადასხვა მოდულების ურთიერთქმედების და სინქრონულად მუშაობის კუთხითაც.

ამასთან, ასევე გამოიკვეთა ხარვეზები სხვადასხვა კომპანიების ჭრილში, რამდენადაც გამოიკვეთა, რომ მათ კიდევ დასჭირდათ გადამზადება და ტრენინგები.

„ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ არ ღირდა არაგონივრული რისკის გაწევა. საჭიროა ტესტირებების გაგრძელება. რამდენიმე თვე დაგჭირდება კიდევ ტესტირებები და ამის შემდეგ იქნება გადაწყვეტილებები მიღებული“, – განაცხადა თვალაბიშივილმა.

<https://cutt.ly/NnDnvKE>

„ენერგოსაფრთხოება საქართველოს არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა“ - დირკ ბუშლემ

„ნამახვანი ჰესი“ არის მნიშვნელოვანი და მასშტაბური ჰიდროენერგეტიკული პროექტი საქართველოსთვის და ზოგადად ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ჩვენ ვხედავთ შემდგომი წარმატებული განხილვების პერპექტივას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი, როგორც მედიატორების ჩართულობით, არა მხოლოდ სიტუაციის დროებით განმუხტვას, არამედ პრობლემის გადაჭრას მივაღწევთ“ - ამის შესახებ მედიასთან საუბრისას ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრის ხელმძღვანელმა, დირკ ბუშლემ განაცხადა.

მისი შეფასებით, ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფა არამხოლოდ საქართველოს უფლება, არამედ როგორც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების მხარის ვალდებულებაც არის.

„ამ თვალსაზრისით, გვაქვს მოლოდინი, რომ საქართველოს მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოებას გაუზიარებს ინფორმაციას, თუ რა დაშვებების საფუძველზე და რა გზებით უნდა მოხდეს ენერგომომარაგების უზრუნველყოფა მომდევნო 10 წლის განმავლობაში“ - აღნიშნა ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრის ხელმძღვანელმა.

<https://cutt.ly/VnDnnvJ>

კლიმატის ცვლილება

თბილისის ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - მოსალოდნელია ნაგვის გადასახადის ზრდა

დედაქალაქი ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის ემზადება - ეს ნიშნავს, რომ განცალკევებით უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სახეობის ნარჩენი (პლასტიკი, მინა, ქაღალდი) და შემდეგ გადამუშავდეს. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების სეპარირება ქვეყანაში 2019 წლიდან უნდა დაწყებულიყო, შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. პროექტს EBRD-ის დაფინანსებით “თბილსერვის ჯგუფი” და დედაქალაქის მერია ახორციელებს.

„თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი - თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგია“ - ასე ჰქვია დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ნაბიჯი, რომელიც დედაქალაქს საბოლოოდ ნარჩენების რაოდენობის შემცირამდე მიიყვანს.

“სტრატეგია უნდა შემუშავდეს წლის ბოლომდე, მისი ნაწილი იქნება სეპარირებული შეგროვების დაწყების თარიღიც: თუ რა ტიპის სეპარირებული ნარჩენების შეგროვებით უნდა დავიწყოთ რეფორმა. ამის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა, რომ მოსახლეობასაც დაველაპარაკოთ, რომელი წლიდან რა სეპარირებაზე გადავიდეთ”, - ამბობს “თბილსერვის ჯგუფის” ხელმძღვანელი რომეო მიქაუტაძე “საქმის კურსთან” საუბრისას.

რა დაუჯდება თბილისს მთლიანობაში რეფორმაზე მუშაობა და შემდეგ მისი იმპლემენტაცია სწორედ სტრატეგიის დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს.

სანამ გადაწყდება, რა მოდელს აირჩევს დედაქალაქი, რამდენი და რა მოცულობის ურნა, სად უნდა დამონტაჟდეს ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის, მანამდე თბილისში ნარჩენების ანალიზი მიმდინარეობს.

<https://cutt.ly/9nDnQYn>

MAN Engines-მა წარმოადგინა მოდულური, ჰიბრიდული ძრავა ნულოვანი ემისიების მქონე გემებისთვის

გერმანული მწარმოებელი MAN Engines ქმნის ნულოვანი ემისიების მობილობის ახალ ეპოქას, მაქსიმალური მწარმოებლობით, ინტელექტუალურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, გემის ძრავებისთვის.

კომპანიამ წარმოადგინა მოდულური სისტემა MAN Smart Hybrid Experience, მასშტაბირებადი ეკოსისტემა საზღვაო ძრავებისთვის, რომელიც მორგებულია მომხმარებელთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სურვილებზე.

საზღვაო ჰიბრიდული სისტემა მოქნილად აერთიანებს ჩვეულებრივ საზღვაო ძრავებს და ელექტროძრავებს ბატარეებთან და საბორტო აგრეგატებთან ერთად, ჰიბრიდული ძრავების შესაქმნელად. ეს სისტემები გვთავაზობენ უხმაურო კრუიზებს, ნულოვანი გამონახოლქვის მქონე ელექტროძრავებით, გაზრდილ მანძილთან და მეტ სიმძლავრესთან ერთად.

ახალი ჰიბრიდული სისტემა წარმოშობს უამრავ შესაძლებლობას სხვადასხვა ხარისხის ჰიბრიდული სიმძლავრეების გამოსაყენებლად სამგზავრო და კომერციული გემებისთვის.

სასურველი საექსპლუატაციო რეჟიმების მიხედვით, აკუმულატორ-ელექტრულიდან, დიზელ-ელექტრულიდან დაწყებული ფორსირებულით დამთავრებული, MAN-ის ჰიბრიდულ სისტემას შეუძლია ფოკუსირება მოახდინოს მწარმოებლურობაზე, კომფორტზე და ეფექტურობაზე.

<https://cutt.ly/NnDnEwc>

პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ტექნიკური ანგარიში ევროკავშირის გათბობის სექტორის დეკარბონიზაციის შესახებ

გათბობისა და გაგრილების სექტორი ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც პრიორიტეტი დეკარბონიზაციისა და ენერგოეფექტურობის მიზნების მისაღწევად. შენობების გათბობა-გაგრილება ევროპაში ენერჯის საბოლოო ჯამური მოხმარების თითქმის 40%-ს შეადგენს. ეს ანგარიში ფოკუსირებულია სითბოს და ელექტროენერჯის სექტორების ინტეგრაციაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეფექტურმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობას და კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებს.

<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/208e7048-b406-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en>

ღონისძიებები

მსოფლიოს მდგრადი ენერგეტიკის დღეები (WSED)

თარიღი: 21–25 ივნისი, 2021

ადგილი: ველსი, ავსტრია

ღონისძიების ტიპი: კონფერენცია

<https://www.wsed.at/>

პელეტების ევროპული კონფერენცია 2021

თარიღი: 22 ივნისი, 2021

ადგილი: ველსი, ავსტრია + ონლაინ

ძირითადი თემა: ბიოენერჯია მწვანე აღდგენისათვის

<https://www.wsed.at/european-pellet-conference>

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021.4.en.2.1.13.html>

მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>